ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი 03 თებერვალი, 2017 წელი.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **ხვიჩა კიკილაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნუგზარ მგელაძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მაგისტრატი მოსამართლე.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები

ლეილა გურგუჩიანი - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მაგისტრი მოსამართლე.

რუსუდან ბერიძე - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი

არ გამოცხადდნენ კომისიის შემდეგი წევრები:

ადამ მახარაძე- ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

ქეთევან თხელიძე - ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1.ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარება.
2.კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს ხვიჩა კიკილაშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობა:

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში:

N	**თანამდებობის დასახელება**	**ვაკანსია**
1	თარჯიმანი	1

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს ხვიჩა კიკილაშვილის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 7 თებერვალს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 18 თებერვალი.

ხელვაჩაურის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 7 თებერვალს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 18 თებერვალი.

კომისიის თავმჯდომარე:

ხვიჩა კიკილაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე:

ნუგზარ მგელაძე

კომისიის წევრი:

ლეილა გურგუჩიანი

კომისიის წევრი:

რუსუდან ბერიძე